# სახალხო გაზეთი

№ 675 ოთხშაბათი, 15 აგვისტო, 1912 წ. № 675

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 17 აგვისტოს.


## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული აქ ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


**მარიამ თომაშვილისა, გიგო ზაქარიას ძე ელბაქიძე, იოსებ, თამარა, მიხეილი, ნინა, ჟორჟიკა, მარუსა და ვარია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი შვილისა, მეორე ძვირფასი მეუღლისა და დანარჩენნი დაუვიწყარი დედის

## კატო იოსების ასულის ელბაქიძის

უდროვოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 აგვისტოდან ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე (ანჩისხატის ქ., № 17). გამოსვენება კვირას, 19 აგვისტოს ანჩისხატის ეკლესიაში; დაკრძალვა იმავე დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1.1445.1)

დღეს, 15 მარიამობისთვეს, ქ. ტფილისში, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება დაკრძალვის მეცხრე დღის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის საყვარელ ბიძის

## პეტრე იოსების ძე ბახტაძისა
**და მისი შვილის სამთო ინჟინერის**
## ტიტო პეტრეს ძის ბახტაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთა, ახლად განსვენებულის ძმის წული კნეინა ნევო პავლეს-ასული და სიძე თავადი ივანე პეტრეს ძე ფალავა. (1—610—1)


საზაფხულო **ახალი კლუბი** თეატრი.
**ოთხშაბათს, 15 აგვისტოს,**
ჩვეულებრივად **სინემატოგრაფი.**
დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.
**ანონსი.** ხუთშაბათს, 16 აგვისტოს, საყმაწვილო საღამო. (1.1445.1)

## ტფილისის სათვერმლო სკოლა

მიხეილის საავადმყოფოსთან ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ განმეორებითი გამოცდა დაიწყება 21, 22 და 23 აგვისტოში, მხოლოდ მისაღები გამოცდა მოხდება 25, 27, 28 და 31. დასაწყისი დილით 8 ს. თხოვნების მიღება მოისპობა 15 აგვისტოს. (3.1423.1)

## პროგიმნაზია ვ. ა. ლევანდოვსკისა

მთავრობის სავაჟო ექვს კლასიან პროგიმნაზიების უფლებებით.
**ანასტასიევის ქუჩა № 14, ტელეფონი № 8—04.**

მისაღები გამოცდა დანიშნულია 1 და 3 სექტემბერს, განმეორებითი გამოცდა—4 ენკენისთვეს დილის 9 საათიდან. სამადლობელი ლოცვა და მეცადინეობის დაწყება 5 სექტემბერს, დილის 9 საათიდან. ის მოწაფენი რომელნიც თავის დროზე არ გამოცხადდებიან და დაგვიანების მიზეზს არ გვაცნობებენ, გამორიცხულად ჩაითვლებიან. (3.1431.2)

## ტფილისის სათავად-აზნაურო ქალთა სასწავლებლის გამგე

აცხადებს, რომ მისაღები და გადასასვლელი გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვეს.

**თავისუფალი ადგილებია:**
1, 2 და 3 განყოფილებაში და აგრეთვე 1 და 2 კლასში. (5.1441.2)

საზაფხულო **ახალი კლუბი** შენობა.
**სამშაბათს, 21 აგვისტოს,**
## ორკესტრის ბენეფისი.
### სიმფონიური საღამო.
ქ-ნ თ. ძნელაძის და ბ. ლვინიაშვილის მონაწილეობით. (1.1445.1)

## ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს,

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა
დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში მარიამობისთვის 20,
„ 1 და 2 „ „ 23,
„ მოსამზადებელ განყოფილებებში „ 25,
მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში „ 25.
სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე. ვისზედაც გასულის $19^{11}/_{12}$ წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. სხვა გიმნაზიებიდან გადმოსვლის მსურველნიც მოვალენი არიან დაიჭირონ ეგზამენები ყველა საგნებში. **გიმნაზიის კანცელარია ღია იქნება** ოთხშაბათობით დილის 10—1 საათამდე. (3.1384.2)

ტფილისის ქართული **ფილარმონიული**
საზოგადოების
## სამუსიკო სკოლა
**გადავიდა ახალ სადგომში** (კორგანოვის ქუჩაზე, ალ. გრ. რჩეულიშვილის სახლში № 6.

**მოწაფეთა მიღება:** ფორტეპიანოსა, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასის სიმღერა (solo), ელემენტარული თეორიის, ნოტების კითხვის (solfegio), გარმონიის, ენციკლოპედიისა და გუნდის **კლასებში დაიწყება 27 აგვისტოდან** ყოველ დღე, (კვირა-უქმის გარდა), დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე სკოლის კანტორაში. სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 65 მანეთი წელიწადში, სკრიპკისა და სიმღერა (solo), 65 და 75 მანეთი თეორეტიულ კლასებში 15 მანეთი წელიწადში. სწავლის ფული გადახდილ უნდა იყვეს ნახევარის წლობით.

ახლად მოწვეულ იქმნენ მასწავლებლებად: პეტერბურგის კონსერვატორია დამთავრებული პროფ. დუბაროვის კლას. თავისუფალი ხელოსანი ელ. გრ. ქიქოძისა და მოსკოვის კონსერვატორია დასრულებული პროფეს. იგუმანოვის კლასში, თავისუფალი ხელოსანი ნ. ივ. ბაბასინოვისა

ხმების გასინჯვა, ქალთა და ვაჟთა, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, არსებულ ქართულ გუნდისთვის მოხდება ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი.

პარაკლისი და სწავლის დაწყება 1 სექტემბერს. (10.1429.1

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
**იყიდება პროფ. ალ. ხახანაშვილის შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ქართ. სიტყვიერების ისტორია . . . . . . . 1—25 კ. | О Сванетскихъ рукописяхъ и надписяхъ . . . . . . 60 „ |
| ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 „ | Правила VI Вселенск. собора 1 მ. |
| იმერეთის მეფე სოლომონ II . 25 „ | Трапезундская хроника . . . 1 „ |
| Матеріалы по груз. агіологій . 80 „ | Очерки по груз. культурѣ . 30 კ. |
| Багратъ, Еписк. Тавроменійск. 1 მ. | О вступленіи на престолъ Императрицы Екатерин. II . 25 „ |
| Древнѣйшіе предѣлы расселенія грузинъ по Малой Азіи 60 კ. | Политич. и культ. состояніе грузіи съ XIII по XVIII в. . 50 „ |
| Грузинск. дворянск. акты . . 60 „ | Аѳонскій списокъ 978 г. грузинской библіи . . . . 40 „ |
| Месхи (этногр. очеркъ) . . . 60 „ | Къ матеріал. по драмат. литературѣ XVIII в. . . . . 20 „ |
| Жизнь и дѣятельность Католикоса грузіи Антонія I . . 50 „ | Бальваръ и Іодасафъ, грузин. текстъ по рук. XI—XII в. . 60 „ |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны . . . . . . 60 „ | |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1411.100).

## ტფილისის კერძო სამკურნალო
**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**
**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფობანი | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო-ქალთა | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვთა | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^1/_2$—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვა- | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.93)

შეიძლება დაკვეთა:
## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი
**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—გ. ი. სტურუასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)

## საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თამთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 365)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. მოსპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 $^1/_2$.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“ -**

(წლ—1018—54).

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—64)

**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბავშვო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.4)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.178)

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 (დიდუბე). (თ.—1049—119)

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ. სვანიშვილისა.

**ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.224)

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—42)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 6

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი** შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—24)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—89)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.


## ნარკვევი
ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუსკოე სლოვო“ ძალიან დაინტერესებულია იმ კამათით, რომელიც ადესაში სწარმოებს არჩევნების გარშემო. ებრაელთა ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია, მომავალ სათათბიროში დეპუტატად უსათუოდ ებრაელი გაჰგზავნოს. აქ საკითხს არჩევს „რუსკოე სლოვო“ და გზა და გზა იხსენიებს ქართველებსაც, რომელთაც, იმის სიტყვით, გადაუწყვეტიათ, უსათუოდ ნაციონალისტი გაჰგზავნონ მომავალ სათათბიროში. აი, სიტყვა-სიტყვით რასა სწერს „რუსკოე სლოვო“ ქართველების შესახებ.

„ქართველთა ნაციონალისტებსა ჰსურთ მომავალ სათათბიროს უძღვნან ქართველთა კოლო. ისინი მთელის თავის ძალ-ღონითა სცდილობენ გააშავონ საქართველოს წინანდელი დეპუტატები, რომელნიც საერთო რუსულ ინტერესებს ყოველთვის ადგილობრივ ქართულ ინტერესებზე წინ აყენებდნენ. ამნაირ ნაციონალისტთა ლოღიკა რომ განვავითაროთ, მეოთხე სათათბიროში მოსალოდნელი იქნება ებრაელთა, გერმანელთა, ქართველთა, უკრაინელთა, ლატიშთა და სხვათა საპარლამენტო ჯგუფების გაჩენა.“

„რუსკოე სლოვო“ ურჩევს ყველას, ასეთს სახიფათო გზას გვერდი აუხვიონ და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები ადგილობრივ ინტერესებზე წინ დააყენონ. იგი იმდენად გატაცებული ყოფილა ამ აზრით, რომ უპირატესობას ანიჭებს ჩვენს წინანდელს დეპუტატებს. ადვილი გასაგებია! რანაირ რაც წმენი-

საც უნდა იყოს ქართველი დეპუტატი, ოღონდ კი იგი ნუ დაილაპარაკებს ეროვნულ ინტერესებზე, რომელიც რუსულ ლიბერალურ გაზეთსაც კი ბევრად არ ეჭაშნიკება. ტყუილად კი არ არის ნათქვამი,— რუსის უკიდურესი ლიბერალიც რომ გადაფხიკო, უსათუოდ ნაციონალისტი გამოხტებაო.

ერთი რამ ავიწყდება მხოლოდ „რუსკოე სლოვოს". იმ დრომდე, სანამ სათათბიროში ნაციონალისტური პოლიტიკა იქნება გამეფებული, იმ დრომდე, სანამ რუსის ლიბერალები ქართველთა ინტერესებს მხოლოდ საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესების თვალსაზრისით შეხედავენ, არა რუსთა წრეებშიაც გაიზრდება ტენდენცია განცალკევებულ მოქმედებისა. ამიტომ ჩვენ კი არ ვიდარდებთ, სიამოვნებით მივეგებებით ისეთს სულიერს განწყობილებას, რომელიც მეოთხე სათათბიროს აჩუქებს საქართველოს ინტერესების დამცველს დეპუტატებს.

„ნოვოე ვრემიაში" დაბეჭდილია ჩვენში სახელგანთქმულის „ზატერიანის" კორესპოდენცია ტფილისიდან. ჩვეულებრივი წინასიტყვაობა ამშვენებს: კავკასია ჯერ არ დამშვიდებულა, ისევ ცეცხლი უკიდია, ტყუილია ზოგიერთ სატახტო ქალაქის გაზეთების ცნობა, ვითომ აქაურთ არ ეინტერესებოდეთ არჩევნებიო. შემდეგ ოვით არჩევნების გამო სწერს. აღნიშნავს, აქ ყველანი მემარცხენენი არიანო.

„მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში, სადაც თითქმის სულ ქართველობაა, საარჩევნო ბრძოლა მხოლოდ ის იქნება, თუ ვის უფრო მეტი ხმა ამოუვა: ქართველ სოციალ-დემოკრატებსა, რომელთაც მესამე სათათბიროს გეგეჭკორი მიუძღვნეს—თუ ქართველ სოციალ-ფედერალისტებს, რომელთაც კანდიდატად დაუსახელებიათ ქართველი მოლაყბის ტიპიკიტა აბაშიძე. მაგრამ რადგანაც ორივე საპოლიტიკო ჯგუფი უკიდურესი მემარცხნეა, არჩევნების შედეგს ყოველთვის სიხარულით შეხვდება ხალხი".

შემდეგ „ზატერიანი" ეხება ტფილისს და დასძენს, აქ ნაციონალური ელემენტიც ურევია ბრძოლაში, რადგან, ნახევარი ამომრჩეველებისა —სომხები არიან, ნახევარი ქართველობაო. კანდიდატებად სომხები ხატისოვს ასახელებენ, ქართველები ჟურულსაო. „ზატერიანი" მათ შესახებ ამბობს:

„ორივე მემარცხენეა, კავკასიის ნაციონალიზმგარეული. საზოგადო მოღვაწეობითა და პირადობით— სომხების კანდიდატი ბევრად სჯობია ქართველებისას. საზოგადოდ, ადგილობრივ ინტელიგენციაში ხატისოვი ყველაზე ნიჭიერი, ენერგიანი, ჰკუიანი, განათლებული, კარგად მოლაპარაკე და ყველა მცხოვრებლებში ცნობილი ადამიანია. რასაკვირველია, ქართველები ამას ვერ შეჰრიგებიან და ხელს არ იღებენ თავის კანდიდატზე, რომელიც სრულიად არ გაირჩევა სხვებში. ამბობენ, ჩხეიძეც აპირებს თავის კანდიდატურის წამოყენებასო, მაგრამ ძალიან საეჭვოა მისი არჩევა, რადგან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა სახელი გაიტეხეს ტფილისსა და ტფილ. მაზრაში უკანასკნელ მოქმედებითა".

„ზატერიანის" აზრით, ძალიან ცოტა იმედი უნდა ჰქონდეს არჩევისა ბათომის და სოხუმის ოლქის ნადეპუტატარს შარვაშიძესაც. საზოგადოდ, ბ-ნი „ზატერიანი" ჩვენი ცხოვრების დიდ „ცოდნას" იჩენს...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი პეტერბურგიდან კავკასიაში გამომგზავრებულა** 12 აგვისტოს. დღეს, 15 აგვისტოს, უკვე კისლოვოდსკში იქნება, სადაც ორს დღეს დარჩება და შემდეგ ტფილისში ჩამოვა.

✦ **სიონის საკათედრო ტაძარში** დღეს მწირველია საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ეპისკოპოსების ანტონისა და პიმენის თანამწირველობით.

✦ **რეფორმები კავკასიაში.** მომავალ კვირას მინისტრთა საბჭო გაიხილავს რამდენსამე საკითხს, რომელიც კავკასიას ეხება. განზრახულია რეფორმა სამოსამართლო საქმისა. ამ რეფორმის საჭიროება აღიარებულ იქმნა სენატორ რეინკეს რევიზიის შემდეგ.

— ტფილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი, როგორც ეტყობა, ახლო მომავალში ვერ გადასწყდება, რადგანაც უთანხმოება სუფევს კავკასიის ნამესტნიკსა და მინისტრ მაკაროვის შორის. მაკაროვი უნივერსიტეტის დაარსებას პოლიტიკურ საფრთხედ სთვლის.

— მიწად-მფლობელობის საქმეში რეფორმების მოხდენის საკითხი გადაიდება იმ დრომდე, ვიდრე კავკასიაშივე არ გამოარკვევენ იმ ღონისძიებათ, რომლითაც საუმჯობესოა ძველის წესის შეცვლა ახალით.

✦ **ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი,** რომელიც აქამდე ტფილისში სცხოვრობდა, მოკლე ხანში ბაქოს გაემგზავრება მუდმივად იქ საცხოვრებლად.

✦ **მგოსნის ნ. ბარათაშვილის ხსოვნის აღნიშვნა.** როგორც გავიგეთ, მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტთა ერთ პატარა ჯგუფს ნიკ. ბარათაშვილის დაბადების (1916 წ.) 100 წლის აღსანიშნავად გადუწყვეტია მის თხზულებათა ძვირფასად გამოცემა. წიგნი გამოვა 1916 წ. შემოდგომაზე და ეღირება 4 მან. 50 კ. ხელის მოწერა გაგრძელდება 18 თვეს. ხელის მომწერთ თვეში 25 კაპ. გადახდებათ. საიუბილეო წლის შემდეგ იგივე წრე გამოსცემს მეორე წიგნს, სადაც მოთავსდება ბარათაშვილის ბიბლიოგრაფია.

✦ **ხმოსნის კეილის განცხადება.** ხმოსანმა კეილმა, რომელიც ამ ჟამად დროებით არის ქალაქის სამეურნეო კომისიის თავჯდომარედ, გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილეს თავ. ა. მ. არღუთინსკის განუცხადა, რომ მეპურეთა თავგასულობა ისევ გრძელდება და საჭიროა მათ წინააღმდეგ სასტიკ ღონისძიებათა მიღებაო. ამასთანავე ისიც დაუმატა, მეფურნეები მეთორნეებსაც აქეზებენ, პური ისევ ძველის ნიხრით გაჰყიდეთო. თავ. არღუთინსკიმ კეილს უპასუხა, მომავალ პარასკევს გუბერნატორს წარვუდგები და საქმის ვითარებას დაწვრილებით გადავცემო.

✦ **კიდევ მეპურენი.** გუშინ ქალაქის სავაჭრო მეთვალყურემ მ. ს. თათევოსიანმა ქალაქის პირველ უბანში პურის ნიხრის დარღვევისთვის ოქმები შეუდგინა შემდეგს მეპურეებს; მიხეილ მათევოსოვს (2 ოქმი), სპირიდონ ლებანიძეს, ვართან თათოს ოღლის (12 ოქმი), თედო ქვათაძეს და ოქრო კუშლაშვილისა.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული,** რომელიც თვენახევრით დასასვენებლად იყო წასული, ერთის კვირით ტფილისში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ქალაქის 1913 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტის საბოლოოდ შედგენის დამთავრებაში. ერთის კვირის შემდეგ ბ-ნი ჟურული ისევ დასასვენებლად წავა.

✦ **ანჩისხატობა.** ხვალ, 16 აგვისტოს, ანჩისხატის ტაძარში მწირველია ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა, ხოლო დღეს მლოცველია ამავ ტაძარში არქიმანდრიტი პიროსი.

✦ **სამელ წყლის ძებნაში.** 19 აგვისტოს ქალაქის საბჭოს ხმოსნები ნატახტარის წყაროების დასათვალიერებლად მიემგზავრებიან.

✦ **სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს ორს გადასახლებულს:** გორის მაზრის სოფელ ხოვლეს მცხოვრებს გიორგი კოშაძესა და ოზურგეთის მაზრის სოფელ ვაკისჯვარის მცხოვრებს კირილე გიორგაძესა.

✦ **კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტს** დამატებით მიეცა 5,000 მან. მატყლის სართავ და საღებავ სახელოსნოს მოსაწყობად.

✦ **საგანგებო თათბირი.** სექტემბრის შუა რიცხვებში ტფილისში თათბირი ექნებათ უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელთ კავკასიის მიწადმფლობელობის შესახებ.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 13 აგვისტოს მატინოვის ქუჩაზე რევოლვერი დაირტყა დუშეთის მიხვევში მცხოვრებმა მარიამ ტიტოს ასულმა მილიორინმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **ქართველი დამსახურებული მსახიობი შალვა დადიანი** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა იმ მსახიობებთან მოსალაპარაკებლად, რომელთა მიწვევაც სურს მუდმივ დასში. ბ-ნი დადიანი დასს ბათომისათვის ადგენს, სადაც მომავალ საიეატრო სეზონში წარმოდგენებს გამართავს. როგორც დანამდვილებით გავიგეთ ტფილისში უკვე მოლაპარაკებია მსახიობ ქალს ქ-ნს რონელს, რომელსაც ბათომში წასვლის თანხმობა გამოუცხადებია. ბ-ნი დადიანი გუშინ ტფილისიდან უკანვე ბათომს გაემგზავრა, სადაც სეზონის დაწყებას 8 სექტემბრისათვის აპირობს.

✦ წინამძღვარიანთ კარის სკოლაში **საჭიროა მასწავლებელი** მიწადმოქმედებისა და მეფუტკრეობისა.

✦ ათ აგვისტოს უეცრივ გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრები სოლომონ გიორგისძე წოვაძე.

✦ თორმეტ აგვისტოს თავის მოკვლის განზრახვით საწამლავი დალია აბას-აბადის მისახვევში მცხოვრებმა მარიამ ალექსანდრეს ასულმა სარქისოვმა რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად არამიანცის საავადმყოფოში გაჰგზავნეს,

✦ 13 აგვისტოს ტფილ სში შეიპყრეს ბორჩალოს მაზრის სოფელ ვორონცოვკას მცხოვრები ივანე ტიმოთეს ძე სტუპენკინი, რომელსაც ტფილისში ჩამოსვლის ნება არა ჰქონდა.

✦ 13 აგვისტოს ტფილისში 76 უპასპორტო შეიპყრეს.

### სასწავლებლებში.

✦ **ავლაბრის პროგიმნაზიის** საპედაგოგიო საბჭოს კრება 13 აგვისტოს მოხდა ვ. ს. ღულაძის თავმჯდომარეობით. საბჭომ მოისმინა დეპეშა ქ-ნ ხომენტკოვისა, რომელიც სასწავლებლის უფროსობაზე უარს ამბობს ავადმყოფობისა გამო. საბჭომ მოსამზადებელ კლასებისათვის მასწავლებელნი დანიშნა, ხოლო პირველ და მეორე კლასის მასწავლებელთა მოწვევა გადასდო იმ დრომდე, სანამ სასწავლებლის უფროსი არ იქნება არჩეული.

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიაში** მომავალ სექტემბრიდან მოსწავლეებს ძველს ბერძნულს გალობას ასწავლიან. სამღვდელოების კრებას მასწავლებლისთვის წელიწადში 420 მან. აქვს გადადებული. მასწავლებლობის მსურველებმა სემინარიის რექტორს უნდა მიმართონ.

### სასამართლო

✦ ტფ. სამოსამართლო პალატის სესია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იყო წასული საქმეების გასარჩევად, ტფილისს დაბრუნდა.

### ქუთაისი

✦ 24 მარიამობისთვეს **ქუთაისიდან კიევს** გაემგზავრება პირველი ჯგუფი კიევის კომერციულ ინსტიტუტის ექსკურსიისა. მეორე ჯგუფი კი 16 ენკენისთვეს. გზის ფასი სათავისტომოს წევრთათვის 6 მ. 50 კ. არა წევრთათვის 7 მანეთი. ჩაწერა შეიძლება, როგორც პირველში ისე მეორეში ამ მოსამართით. ქუთაისი. ოლდენბურგის ქუჩა სტ. სოკრატი დიმიტრისძე მიქაძეს ან ორპირის ქუჩა. ვასილი მამაგეიშვილს.

## აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

შემდეგი *)

VI.

გ. კვიტაშვილის სიტყვის შემდეგ მიმართა მგოსანს თავისი ლექსით ქართულ გაზეთების თანამშრომელმა **ვანო ჭიჭინაძემ.**

მის შემდეგ წარსდგა **მ. ჯაფარიძე** (ჯაფარა-რაჭველი) და უთხრა სიტყვა: „დიდებულო მგოსანო! დღევანდელი დღე ჩვენ რაჭველებისათვის უწმინდესი და უდიდებულესი დღეა; ჩვენს მთა-გორიან რაჭას არასოდეს წილად არ შეხვედრია ჩვენი ქვეყნის დიდებულ შვილთა სტუმრობა და აი დღეს თქვენ, საყვარელო სტუმარო, მოულოდნელად გაგვახარეთ. კარგად მესმის, როგორი სამძიმოა თქვენთვის ამ მოხუცებულობის დროს მოგზაურობა, მაგრამ რადგან თქვენი სამშობლოსადმი სიყვარული სძალავს ყოველგვარ დაბრკოლებას, ამის გამო გაჰბედეთ და მობრძანდით რაჭაში. ჩვენ ვერაფერს გეტყვით თქვენი მოღვაწეობის შესახებ; მთელმა ერმა იცის, რომ თქვენ ფხიზელ დარაჯად უდექით საყვარელ სამშობლოს; იციან ისიც, თუ რა გატაცებით უალერსებდით თქვენს საიმედო ავადმყოფს, რომლის ბუნებრივი შესვენება სამშობლოს გულღვარძლიან მტერთ სიკვდილად მიაჩნდათ.

ბევრი მწარე ნაღველი შეგასვეს, მგოსანო, მისი გადვიძებისათვის, მაგრამ თქვენ ამით არ გაგტეხიათ გული და მის მტერთათვის გიპასუხნიათ: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებსო". ასრულდა თქვენი სურვილი, მიძინებულმა გაიღვიძა და აწ მას ვეღარ დააძინებენ; ამიტომ თქვენი ნაჭირნახულევის ოჯახი და მონაგარი სიყვარულით აღგზნებული გეგებება და ფეხ-ქვეშ ფიანდაზად გეფინება, სულსა გწირავს და თავს გევლება, იგი მტკიცედ გპირდება განახორციელოს ყველა ის მოძღვრებანი, რომელიც თქვენმა კურთხეულმა კალამმა ჩვენდა საკეთილდღეოდ დასწერა. თქვენი შრომის სამაგიეროდ, დიდებულო მგოსანო, აღთქმას ვდებთ, საქმით აღვასრულოთ თქვენი მოძღვრება, შევიყვაროთ ერთმანეთი და ძმურად ვემსახუროთ საყვარელ სამშობლოს. [illegible] დიდებულ [illegible] ქართველ მოღვაწეთა სულთ გვიშუამდგომლონ რათა დაგვანებონ თქვენი თავი დიდ ხანს, ჩვენი ერის საკეთილდღეოდ".

სერგო ქელბაქიანმა უთხრა ლექსი.

აბელ კიკოშვილმა უთხრა ლექსი, რომელშიაც გამოხატა იმისი მოღვაწეობა და ხალხისადმი სამსახური; ლექსი წაკითხულ იქმნა მშვენიერი დეკლამაციით და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. ტაშის ცემას და „ვაშას" საზღვარი აღარ ჰქონდა.

მგოსანმა თვითეულად დაჰკოცნა ორატორნი, ყველას მადლობა უძღვნა და უპასუხა: „ოცდათუთხმეტი წლის წინად დავსწერე: არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს მეთქი, და, აი, მოვესწარი ნაყოფს, აღსრულდა ჩემი ნატვრა; აწ შემიძლიან ვთქვა, რომ „აღარ სძინავს, გამოუღვიძნია და არასოდეს არ მოკვდება".

სანთლები აინთო, ღამის ნახევარი საათი გავიდა; მგოსანს სიმღერით და „გაუმარჯოს" ძახილით გაუძღვნენ წინ და მიიყვანეს იქვე როსტომ ერისთავისშვილის თავ. შამადვლეს ოჯახში, სადაც შესავალი კარები და მისაღები ოთახი მორთული იყო სუროს—ფოთლებით. ეზო აივსო ხალხით; გაიმართა ფერხული და ეროვნული სიმღერები; მგოსანი დერეფანიდან გადაჰყურებდა მომღერალ და მოთამაშე რაჭველებს და სიამოვნებით სტკბებოდა; მხიარულობა და ცეკვა თამაში გაგრძელდა ცხრა საათამდე; შემდეგ აკაკი შევიდა ოთახში; იქ ბევრი იმუსაიფა და იხუმრა საზოგადოებასთან; ივანე ბაქრაძემ მიართვა მგოსანს საჩუქრად საამბროლაურში ნახული ექვსი დიდი და ოთხი პატარა ძველი სპარსული ფული, ერთიც თავ. დიმ. ყიფიანმა; მგოსანმა მადლობა უძღვნა მათ და უბრძანა თავის გამყოლ-გამომყოლ კ. აბდუშელიშვილს დაენიშნა ბაქრაძის გვარი და სახელი, დაჰპირდა მათ: „თუ სასარგებლო შეიქნა ეს ძველი ფულები, თქვენის სახელით შევწირავ ეთნოგრაფიულ-ისტორიულ-საზოგადოებასაო.

ღამის თერთმეტ საათზე მგოსანმა მოისვენა თავის ოთახში. მხლებლებ[illegible] და სტუმრები მიგვიწვიეს დარბაზში გაშლილ სუფრაზე; ადღეგრძელო[illegible] მგოსანი, წარმოითქვა მრავალი სიტყვები, მაზრის უფროსმა ნ. ჩერნოვმაც გრძნობიერი სიტყვით ადღეგრძელა მგოსანი, რაზედაც გრ. დიასამიძემ შესაფერისად უპასუხა. გაიმართა ქართული ლხინი, ვახშამ[illegible] გაგრძელდა ღამის სამ საათამდე. ოთ[illegible] საათზე დავიძინეთ....

* იხ. „სახ. გაზ." № 674

## გარეული იხვი

ჰენრიკ იბსენისა.

დრამა ხუთ მოქმედებად.

(გაგრძელება. *)

**გრეგერ.** მაშ შენ გამოიგონე რამე, ჰიალმარ?

**ჰიალმ.** ჯერ არ დამისრულებია, მაგრამ ახლო კი ვარ. შენ კარგად, იცი, რომ თუ მე გადავწყვიტე ჩემი თავი ფოტოგრაფიისთვის შემეწირა, რასაკვირველია არა იმიტომ, რომ ყოველი შემთხვევით შეხვედრილ ადამიანისაგან სურათი გადამეღო.

**გრეგერ.** ჰო, მე ეგევე მითხრა შენმა ცოლმაც.

**ჰიალმ.** მე დავიფიცე, რომ რაკი ამ ხელობასა ვწირავ მთელს ჩემს ძალღონეს, ამიტომ მე ის უნდა ხელოვნებისა და მეცნიერების უმწვერვალეს წერტილამდე ავიყვანო. და მაშინ გადავწყვიტე გამომეგონა დიადი რამ.

**გრეგერ.** რაში მდგომარეობს ეს გამოგონება?

**ჰიალმ.** დაწვრილებით, ჩემო კარგო, ეხლა ნუ მკითხავ. ამისათვის, რასაკვირველია, საჭიროა დრო. ის კი არ იფიქრო, ვითომ ამ შემთხვევაში თავმოყვარეობით ვხელმძღვანელობდე. მე ჩემთვის არა ვმუშაობ, არა—დღეცა და ღამეც თვალწინ მიდგია ჩემი ცხოვრების მიზანი.

**გრეგერ.** რა მიზანი?

**ჰიალმ.** დაგავიწყდა მთლად გათეთრებული მოხუცი?

**გრეგ.** მამაშენი? მერე, იმას რა უნდა უშველო?

**ჰიალმ.** მე შემიძლიან მასში აღვადგინო თავისი ღირსების გრძნობა მით, რომ დავუბრუნებ დიდებასა და პატივს ეკდალთა საგვარეულოს.

**გრეგ.** აი, თურმე რა ყოფილა შენი ცხოვრების მიზნად!

**ჰიალმ.** დიაღ, მე ვიხსნი კაცს, რომელსაც ცხოვრების ზღვის ტალღებში ნავი დაეღუპა, როცა იმის თავზე ქარიშხალმა გადირბინა. ჯერ მაშინვე ის სრულიად გამოიცვალა; ვეღარც კი ვიცნობდით და აი ემ დამბაჩამ, რომლითაც ეხლა ჩვენ ბაჰიებზე ვნადირობთ, შეასრულა თავისი როლი ეკდალთა საოჯახო ტრაგედიაში.

**გრეგ.** ემ დამბაჩამ? ნუ თუ?

**ჰიალ!** როცა განაჩენი გამოუცხადეს, და ის უნდა დაეჭირათ, იმან აიღო ეს დამბაჩა.

**გრეგერ.** რას ამბობ!

**ჰიალმ.** დიაღ. მაგრამ იმან ვერ გაბედა. შეეშინდა. ჯერ მაშინვე ისე დაეცა, ისე დამახინჯდა ზნეობრივად. შენ გესმის ესა? ის სალდათი, რომელმაც ცხრა დათვი მოჰკლა; რომელიც იყო ორი პოდპოლკოვნიკის შვილი... ე. ი. რასაკვირველია, ორს თაობაში... გესმის შენ ესა, გრეგერს?

**გრეგ.** ჰო, მესმის.

**ჰიალმ.** მე კი არა და აი მეორედა ჩნდება ეს დამბაჩა ეკდალთა ოჯახის ისტორიაში. როცა იმას ნაცრისფერი ტანისამოსი ჩააცვეს და სატუსაღოში ჩასვეს... რასაკვირველია, შენა გწამს, რომ ეს დრო ჩემთვის ყველაზე საშინელი და უბედური დრო იყო. მაშინ მე ჩამოვუშვი ფარდები ორთავ ფანჯრებზედ. როცა იქიდან ვიჰქვრიტებოდი, და ვხედავდი, რომ მზე კვლავინდებურად ანათებდა, ვერ გამეგო ესა! ვხედავდი, რომ ქუჩებში ხალხი კვლავ ჩვეულებრივად დადიოდა, ლაპარაკობდა სულ უბრალო რამეებზე, ხუმრობდა და იცინოდა, ვერც ეს გამეგო! მე მეგონა, რომ მთლად ცხოვრება უნდა შეჩერებულიყო, როგორც მზის დაბნელების დროს.

**გერგ.** მეც მაგასვე ვგრძნობდი, დედა რომ მომიკვდა.

**ჰიალ.** და ერთს მაგვარ წუთში ჰიალმარ ეკდალმა მიიტანა გულთან დამბაჩა.

**გრეგ.** შენც დააპირე.

**ჰიალმ.** ჰო.

**გრეგ.** მაგრამ შენ არ...

**ჰიალ.** გარდამწყვეტ დროს ჩემი თავი დავძლიე და ცოცხალი დავრჩი. მაგრამ მერწმუნე, საჭირო იყო მომეტებული ვაჟკაცობა და გამბედაობა, რომ იმ გარემოებაში კაცს სიცოცხლე აერჩია.

**გრეგ.** ვთქვათ ეგ შეხედულებაზეა დამოკიდებული.

**ჰიალ.** არა, ეს სწორედ ესეა. მაგრამ ასე უმჯობესი იყო, რადგანაც ეხლა ჩქარა დავათავებ ჩემს გამოგონებას. ექიმი რელლინგიც ეგრევე ფიქრობს, რომ მაშინ მამა ჩემს დაუბრუნებენ მუნდირს. ეს ერთი საჩუქარია, რომელსაც მე ვითხოვ.

**გრეგ.** ეს მუნდირი, რომელსაც ის...

**ჰიალ.** დიაღ, ყველაზე მომეტებულად ის ამაზედ ოცნებობს. ვერ წარმოიდგენ ამით როგორ ვიტანჯები. ყოველ ჩვენს პატარა საოჯახო დღესასწაულებში, მაგალითად, ჩვენი ჯვარისწერის დღეს, მოხუცი ჩაიცვამს ხოლმე თავისს ბედნიერ დღეების მუნდირს, ლეიტენანტის ფორმას. მაგრამ კარებს ოდნავ დააკაკუნებს ვინმე თუ არა, წამოხტება და თავისს ოთახში გარბის, რადგან იმ ფორმის ჩაცმის ნება არა აქვს. მე ხომ შვილი ვარ, გულს მიშფოთებს...

**გრეგ.** როდისთვის აპირობ შენი გამოგონების დამთავრებას?

**ჰიალ.** ოჰ, ღმერთო! განა მაგის კითხვა შეიძლება, თუ როდის? გამოგონება იმისთანა საქმე არ არის, რომ როცა გინდა მაშინ იმუშავო. სუყველაფერი მომეტებულად დამოკიდებულია გამოგონებისაგან და წინადვე იმისი თქმა, თუ როდის მოვა და ეწვევა ის ადამიანს, თითქმის შეუძლებელია.

**ერეგ.** მაგრამ ის ხომ მაინც წინ მიდის?

**ჰიალ.** რასაკვირველია, მთელ დღეებს იმაზე ვფიქრობ, იმან დაიპყრო მთლად ჩემი არსება. ყოველ დღე სადილის შემდეგ ჩავიკეტები ხოლმე ჩემს ოთახში, რომ არავინ დამიშალოს მაზედ ფიქრი. მაგრამ ჩემი აჩქარება კი შეუძლებელია. სულ ერთია ეს მიზანს ვერ მიაღწევს. რელლინგიც ამასვე ამბობს.

**გრეგ.** ის ფარდული და იქაური საქმეები ხელს არ გიშლიან?

**ჰიალ.** არა, არა, პირიქით. ყოველთვის ერთსა და იმავე საგანზე ფიქრი შეუძლებელია, ეს კაცის გონებასა ღლის. ჩემთვის საჭიროა გარეშე საქმე, რომ თავისუფალი დრო მით შევავსო. ზეშთაგონება, იცი, თუ მას მოსვლა უნდა, ისეც მოვა, რაც უნდა დაბრკოლება შეხვდეს.

**გრეგ.** მე თითქმის დარწმუნებული ვარ, ჰიალმარ, რომ შენში მოიპოვებიან გარეული იხვის ზოგიერთი ჩვეულებანი.

**ჰიალ.** გარეული იხვისა? როგორ?

**გრეგ..** შენც წახვედი ძირ-ძირ და იქ მყოფ დამპალ ბალახებში ჩაიფალი.

**ჰიალ.** შენ იქნება იმ თითქმის სასიკვდილო ნასროლს ჰგულისხმობ, რომლითაც დასჭრეს მამაჩემი და მეც?

**გრეგ.** არა, არა, სრულებითაც არა. მაგის თქმა, ვითომ დაჭრილი ხარ არ მინდოდა. შენ ჩავარდი დამპალ ჭაობში, გადაგედო დამასუსტებელი სენი, წახვედი ძირ-ძირ და შეიძლება მაგ წყვდიადშიც მოჰკვდე.

**ჰიალ.** მე? შეიძლება წყვდიადში მოვკვდე? არა, იცი რა, გრეგერს, გთხოვ მაგისთანა ლაპარაკს თავი დაანებო.

**გრეგ.** ნუ გეშინიან! ვეცდები იქიდგან ამოგიყვანო. მეცა მაქვს ეხლა ცხოვრების მიზანი... გუშინდელს აქედ.

**ჰიალმ.** მრწამს, მაგრამ მე კი თავი დამანებე. შემიძლიან დაგარწმუნო, ჩემი ადვილად ასახსნელი სევდის გარდა, ჩემს თავს ისეთ ბედნიერადა ვგრძნობ, როგორც კი შეუძლიან ადამიანს ბედნიერი იყოს.

**გრეგერ.** და ეგეც, რომ თავს ბედნიერადა გრძნობ, იმ სენის, იმ ავადმყოფობის ბრალია.

**ჰიალმ.** არა, ჩემო კარგო გრეგერს, ნუ მელაპარაკები ავადმყოფობაზედ. ჩვეული არა ვარ მაგისთანა ლაპარაკს, ჩემს სახლში მაგისთანა უსიამოვნო საგნებზედ არ მელაპარაკებიან.

**გრეგერ.** ეგ ჩემთვის ეჰვს გარეშეა.

**ჰიალმ.** მე მაგას ვერ ავიტან და არც აქ არის ჭაობიანი ჰაერი, როგორც ამბობ. მართალია, მედიდურად არა სცხოვრობს ღარიბი ფოტოგრაფი, ღარიბადაა მოწყობილი მისი საცხოვრებელი ბინა, მაგრამ მე გამომგონი და ოჯახის მარჩენელი ვარ და ეს მამაღლებს... ა! აი საუზმეც! (გინასა და ედვიგს შემოაქვთ ბოთლებით ლუდი, გრაფინით არაყი, ჭიქები და სხვა. ამავე დროს ტალანიდგან შემოდიან რელლინგი და მოლვიკი. ორივე უპალტოოდ და უქუდოდაა. მოლვიკს შავად აცვია).

**გინა.** (დასდგამს მაგიდაზე). აბა, ამათ, რასაკვირველია, არ დაიგვიანეს.

**რელ.** მოლვიკმა იგრძნო სალათის სუნი და ამის დაჭერა არა გზით აღარ შეიძლებოდა. კიდევ გამარჯობა, ეკდალ!

**ჰიალმ.** ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ გრეგერსი, კანდიდატი მოლვიკი ექიმი რელლინგი. განა ამათ უკვე იცნობ?

**გრეგერ.** ჰო, ცოტათი!

**რელ.** ა, ბ-ნო ვერლე უნცროსი. როგორ არა! ჩვენ ხშირად მოგვდიო და შეხლა მთებში. თქვენ ალბათ ახლახან გადმოხვედით აქა?

**გრეგერ.** დღეს დილით.

**რელ.** თქვენ ქვეშ კი მე და მოლვიკი ვცხოვრობთ, ასე რომ თქვენ ახლო ხართ ექიმთანაც და ღვდელთანაც, თუ დაგჭირდებათ.

**გრეგერ.** დიდათა გმადლობთ. ყველაფერი შესაძლოა, იმის მიხედვით მაინც, რომ გუშინ სუფრაზედ ჩვენ ცამეტნი ვიყავით.

**ჰიალმ.** ოჰ, ნუ დაიწყობ კიდევ უსიამოვნო ლაპარაკს.

**რელ.** შეგიძლიან მშვიდად იყო ეკდალ; საბედნიეროდ ეს შენ არ შეგეხება.

**ჰიალმ.** ოჯახის გულისთვის უნდა ვისურვო ეგა. აბა, მგონი ემჯობინება, რომ დავსხდეთ და დავიწყოთ ჭამა, სმა და მხიარულება.

**გრეგერ.** მამაშენს არ მოუცდით?

**ჰიალმ.** არა, ის თავისს ოთახში ისაუზმებს. მოდით. (კაცები შემოუსხდებიან მაგიდას, სვამენ და სჭამენ. გინა და ედვიგი ემსახურებიან).

**რელ.** გუშინ, ქ-ნო ეკდალ, მოლვიკი ძველებურად ძლივს იდგა ფეხზედ.

(დასასრული იქნება)

გ. წნამორაძე.

*) იხ. „სახ. გაზეთი" № 674.

მშვენიერი ღამე იყო, გრილოდა; აღმოსავლეთით ძველი და ახალი ბარაკონის ტაძრებს მაღლიდან ამაყად დასცქეროდა რაჭის ერისათვის როსტომის მრავალ დროების მოწამე „მინდა-ციხე“, რომელიც დარაჯად უდგა ერთ დროს დიდებულ სასახლეს როსტომისას; ტაძრების და სასახლის გარშემო ეხეთქებოდა კლდიან ნაპირებს მდ. რიონი, რომლის მქუხარე ხმა ძილშიაც ნანასავით გვესმოდა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბარაკონი დიდებული ადგილია; კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მე-18 საუკუნეში აქ ცხოვრობდა რაჭის ერისთავი ცნობილი როსტომი, მის შემდეგ შვილი მეთოდე, შემდეგ — გიტული, გიტულის შვილი იყო ასლანი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც გარდაიცვალა; ის თავისი თეთრი მოგრძო ულვაშებით წარმოადგენდა მშვენიერ ტიპს ძველებური თავადისას; დღეს ამ ეზოში სცხოვრობს ასლანის შვილი შამადავლე.

(შემდეგი იქნება)

**ლადო ბზვანელი.**

## მოგზაურობა სოფლად

(გაგრძელება *)

ირაჟრაჟა. ერთი მეორეზე წამოვიშალენით, ჩავიცვით საჩქაროდ და გამოვეშურეთ გარედ — გვინდოდა, ვიდრე მასპინძელი გაიღვიძებდა, შემოგვევლო ბაღი მაინც. მაგრამ... ფხიზელ ოჯახის თავს საქმე ასე არა ჰქონია დაყენებული და უკვე ზეზე დაგვხვდა. რადგან 1—2 საათზე აქედან ცხინვალისაკენ უნდა წავსულიყავით, ყოველი წუთი კი ჩვენთვის ძვირფასი იყო, ყველაფრის თადარიგი ადრე დაეჭირათ, ადრე ვისაუზმეთ, ადრევე გადავიხადეთ წირვა და პანაშვიდი განსვენებულ პროფესორის ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად და კარმიდამოს დათვალიერებას შევუდექით. ღმერთო ჩემო! ნუ თუ ჩვენს დაბეჩავებულ სამშობლოში სოფლად ამისთანა მოსახლეობა კიდევ მოიპოვება? თვითეული ხე ბაღში, თვითეული ბუჩქი, მთელი კარმიდამო ხმა-მაღლა მეტყველებს—ასე იცის მუყაითობამ, შრომამ, სადაც გარჯილობაა, ნაყოფიც იქ არისო. ყველას, ყველაფერს თავის ადგილი აქვს მიჩენილი და ეს არის მთავარი ღირსება ბ. ამირეჯიბის მეურნეობისა. ცალკეა იარაღების საწყობი, ბეღელი, ცალკეა საყინულე, აბანო, საკუჭნაო, ეტლების სადგომი, საძროხე, საჯინიბო, სადურგლო, სამჭედლო, სამოჯამაგირო და მრავ. სხვა შესაფერი ზედწარწერით (სამწუხაროდ რუსულად. ნუ თუ ქართულის დამწერი აქეთ არავინ გამოჩნდა?) ყველგან სამაგალითო წეს-რიგი, სისუფთავეა დაცული. თვით ბ. კონსტანტინე მიხეილის ძის ხელმძღვანელობით დავათვალიერეთ სალეწი მანქანა, სამკალი, სათესი, სიმინდის საცეხვი, ტაროიან სიმინდის საროში და სხვ. და სხვა. აქვეა ორი გუთანი —ერთი რუსეთიდან გამოწერილი, მეორე საკუთარ სამჭედლოში გაკეთებული. ძალიანაც რომ დააკვირდეთ, განსხვავებას ვერაფერს ნახავთ გარდა იმისა, რომ ადგილობრივ ნაკეთები უფრო მკვრივეა, მაგარი. ბეღელის, იქვე შესავალთან, ჩამწკრივებულია თორმეტ-ნაირი ჯიშის ქერნახულის ნიმუშები, რომელიც ბ. ამირეჯიბის საკუთარ მამულში ითესება და კარგს მოსავალსაც იძლევა. აქ არის პური წითელ-ფხა, შავ-ფხა, არნაუტული, ინგლისური, ულმური, ქართული, ახალ-თესლი შლანშტედური, ქერი ბელგიური, ქართული და სხვ.

საეტლო სადგომში 8—9 ეტლია ჩამწკრივებული. ერთი „ფაიტონი“, ადგილობრივ, საკუთარ სახელოსნოშია გაკეთებული და სილამაზით, სიმკვიდრით თუ არა სჯობია გამოწერილს, არაფრით ჩამოუვარდება. აქვეა ეტლი უცბად შესაჩერებელ ჭახრაკით, რომელიც თვით ბ. კ. მ. ამირეჯიბს გამოუგონია.

სუფთა, სამაგალითო საჯინიბოში, ცალ-ცალკე განყოფილებებში ჩამწკრივებულია საუკეთესო ჯიშის 12—13 ცხენი. მაღალჭერიან საძროხეშიც ბლომად ჩამწკრივებულია ძროხები, ნარევი სიმენტალის ჯიშისა. ცოდნასა და გამოცდილებას დაუნახვებია ფხიზელ მეურნისათვის, რომ ყველაფერს თავის დანიშნულება აქვს, ყველაფრის გამოყენება შეიძლება და ისიც კი გამოუყენებია, რის გამოყენებაც სხვას აზრადაც არ მოუვა—საქონლის შარდი— თუ პატივს არ აჭარბებს სიმსუქნით, არაფრით ჩამოუვარდებაო. ამიტომ საძროხეს და საჯინიბოს ბოლოში გამართულია ორმოები, შარდი აქ ჩადის, აქედან კი გააქვთ და მამულს ასხამენ. თვეში 200 ვედრა შარდი გროვდება და ჩემთვის ეს კაი სარფა არისო.

სამჭედლოში განცვიფრებაში მოვედით პატარა ბავშვების ნაკეთებ უთოებით, ხანჯლებით, დანებით და სხვა. ბ. ამირეჯიბი გაკვირვებულია ბავშვების მეხსიერებით, უნარით, შრომის მოყვარეობით. სხვათა შორის სიცილით დაატანა, რომ მივცემთ თუ არა მასალას რამის გასაკეთებლად, ისინი მაშინვე ლამაზ, გრძელ დანას გამოჰკვერამენო. სამჭედლოს შენახვა ჯერ-ჯერობით ძვირად მიჯდება, მაგრამ იმედია მალე საკუთარ ნაწარმოებით ხარჯს ავინაზღაურებო. სადურგლოში ამზადებენ სკოლისთვის საჭირო ავეჯეულობას, მაგიდებს, შკაფებს და სხვ. აქვეა გაკეთებული ადგილობრივ ეკლესიის კანკელი და კარები. სახელოსნოების ხელმძღვანელად მოწვეულნი არიან სპეციალისტები.

აქედან გადავედით სკოლაში. ოთახებია სუფთა, ნათელი, კედლებზე შესაფერი სურათებით, ავეჯი ნაკეთებია ადგილობრივ. აქვეა გამზადებული ტილოს ეკრანი და ფარანი ბუნდოვან სურათებისათვის. სკოლაში სამი განყოფილებაა. თვითეულ განყოფილებაში თითო მასწავლებელია. ამ ჟამად სკოლაში სწავლობს 120 ბავშვი. ეხლა მეოთხე განყოფილების გახსნასაც აპირებენ და, რასაკვირველია, მოწაფეთა რიცხვიც გაიზრდება. მოწაფენი დაიარებიან სოფ. ცერონისიდან, ატოციდან, კნოლევიდან, თამარაშენიდან და სხვა, წერა-კითხვის და ხელობის გარდა ბავშვები სწავლობენ მეფუტკრეობასაც და საფუტკრეც აქვეა გაკეთებული. სწავლა სკოლაში სწარმოებს ქართულად, ხოლო მესამე განყოფილებაში რუსული ისწავლება როგორც საგანი. ენკენისთვიდან ეპირებიან მუსიკის შემოღებასაც. სკოლის ბაღში გაშენებულია საცდელად სხვა და სხვა ჯიშის ვაზი, მაგალით. ალიგოტე, სემილიონი, რუპესტრი დიულო, პედრო ქიმენეს, საფერავი, რქაწითელი და სხვა.

სკოლის დათვალიერების შემდეგ წავედით ქვემო ვენახში, რომელსაც ოცდა ოთხი დღიური უჭირავს. ვენახი საუცხოვოდ არის მოვლილი, ამერიკული ვაზი რიგზე ჩამწკრივებული, მოლამაზებული. აქვს, ორ დღიურზე გაშენებულია ვაზის სანერგე. ვენახი სამი წლისაა, წელს პირველად მოუსხავს და მოუსხავს რიგიანადაც. გლეხები თურმე ჯერჯერობით ცოტა უნდობლად უყურებენ ამერიკულ ვაზს და ელიან ამირეჯიბის ვენახს—რა მოსავალი ექნებაო.

აქედან დავბრუნდით ისევ სახლში ფრიად ნასიამოვნებნი ნახულით. რა კარგი იქმნებოდა ჩვენს თავადებს ქალაქის ქუჩებზე კუნკრუხისა და უაზრო ხეტიალისათვის თავი მიენებებინათ, წასულიყვნენ სოფლად, ბ. ამირეჯიბის მაგალითი აეღოთ, მოეკიდნათ ხელი შრომისათვის და მით საერთო საყვედურიდან ამოსულიყვნენ, მაგრამ...

ბ. ამირეჯიბის შენობაშივე მოთავსებულია **ავლევის საკრედიტო ამხანაგობა**, რომელიც წარსული წლის ოქტომბერში გაუხსნიათ. ძირითად თანხად ამხანაგობას აქვს 2,150 მან. 50 კაპ., სახელმწიფო ბანკიდან მოკლე ვადიანი სესხი 8,000 მან. გაცემული აქვს სესხად 11,900 მან. წევრად ირიცხება 436 კაცი და რაც დრო გადის ამხანაგობას საქმე უფრო კარგად მისდის.

თვით სოფელი ავლევი პატარაა, სულ 60—65 კომლი. სხვა სოფლებთან შედარებით სუფთაა, მდებარეობა აქვს ლამაზი, ჰავა მშვენიერი. მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას, მევენახეობას და სხვა. პირვანდელ წესით დამუშავებული მამული აქნობამდის გლეხს კუჭს ვერ უძღობდა, მაგრამ მცხოვრებთა ქონებრივი მდგომარეობა შედარებით უფრო უმჯობესდება, რადგან ბ. ამირეჯიბის მაგალითით ნელ-ნელა ეჩვევიან ახალ მანქანა-იარაღების ხმარებას.

შუადღევდებოდა. დრო იყო წასვლისა, რადგანაც 25—30 ვერსი ფეხით გვქონდა გასავლელი. დავსხედით სადილზე. აქ სხვათა შორის ერთს ლეგენდას მოვკარ ყური, რომელიც აქვე მომყავს: სოფ. დვანსა და ნიქოზს შუა ყოფილა ერთი ძველი ეკლესია, რომელსაც **„ყვავის ეკლესიას“** უძახიან. რად დაურქმევიათ ეს სახელი? ეხლავე მოგახსენებთ: სამუშაოდან ბრუნდებოდნენ გლეხები მოქანცულნი. ამ ეკლესიასთან შეჩერდნენ შესასვენებლად, შემოდგეს ცეცხლზე დიდი ქვაბით ხორცი და ხარშვა დაუწყეს. უცებ მოფრინდა ერთი ყვავი, შემოჯდა ხეზე და მორთო ჩხავილი. იგი ააფრინეს, ისევ შემოჯდა, ისევ მორთო ჩხავილი, ააფრინეს, კიდევ შემოჯდა. ბოლოს უცებ დაეშვა ძირს აბეზარი ფრინველი და შიგ ქვაბში ჩავარდა. გაიფუფქა ყვავი. გლეხებმა ხორცი, რასაკვირველია, აღარა სჭამეს, გადააქციეს და ნახეს, რომ ქვაბში შხამიანი გველი ჩაჰყოლოდა. ამნაირად გადარჩა იმოდენა ხალხი სიკვდილს და ამის სახსოვრად ეკლესიას „ყვავის ეკლესია“ დაარქვესო“. **სან—განიძე.**

(შემდეგი იქნება)

*)იხ. „სახ. გაზ.“ № 674.

## მოწერილი ამბები

**სოფ. ვაჩნაძიანი** (კახეთი). ამა წლის 4 ივლისს აქ ადგილობრივ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა მეჯლისით. ვიდრე წარმოდგენა დაიწყობოდა დ. თურდოსპირელმა საზოგადოებას აუწყა პროფ. ხახანაშვილის გარდაცვალება, საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნასა.

ქართულად წარმოადგინეს ვ. გუნიას კომედია „არც აქეთ, არც იქით“ და კ. ყიფიანის „დატრიალდა ჯარა“.

რუსულად წარმოადგინეს ფარსი „Не въ пору.“ უნდა აღვნიშნო, კახეთში ჯერაც ვერ გასცილდნენ უშინაარსო კომედიებისა და ვოდევილების დადგმას. ძალიან იშვიათად თუ მიჰმართავენ ისტორიულ დრამას, თორემ ჩვენ ახალგაზრდა დრამატურგებს ნ. შიუკაშვილს, ი. გედევანიშვილს, რამიშვილსა, ირეთელს და სხვებს ხომ სულ არ იცნობს არამც თუ ხალხი, არამედ ინტელიგენტობაც კი.

20 მკათათვეს, ილიაობას **ილიას სახელის მოსაგონებლად** წარმოადგინეს „მონადირე და შემდეგ გაიმართა ცეკვა და ნადიმი. ამ დღეს მაინც დაევიწყებინათ თავიანთი დამღუპველი ქარაფშუტული ქეიფი და მოენანიებინათ თავიანთი დანაშაული ილიას წინაშე.

მოგეხსენებათ, რომ ქართველები ძალიან გულ-შემატკივარი ხალხი გახლავართ და ვცდილობთ ვასიამოვნოთ ყველა უცხო ტომისას, რომელიც ჩვენს წარმოდგენას დაესწრება, თუნდა ესეთი პირნი ძლიერ მცირედი იყვნენ. აქაც ასე მოიქცნენ დაზდგეს ერთი გაქიანურებული პიესა „Не въ пору“, რომელიც ძალიან დიდუმრავლესობას არ ესმოდა. ამას არ დაკმაყოფილდნენ—და-ძმა. ყარალაშვილებმა და ირ. ჩოლაყაშვილმა პირველად რუსულად იმღერეს. შემდეგ ქართული სიმღერებიც შეასრულეს. ფრიად მომხიბლავად მღეროდა სამთავე. ტკბილი იყო სამთავეს მელოდიები, ვით ტკბილია ნანინა მშობელი დედის.

გვარიანად შეასრულეს პიესა „არც აქეთ, არც იქეთ. ხოლო „დატრიალდა ჯარა“ ჩინებულად წარმოადგინეს. კარგები იყვნენ ბაბულია ვაჩნაძისა, გ. ვაჩნაძე და სანდრო ჯანდიერი. კარგი იყო განსაკუთრებით ბაკანაძისა. თქვენს წინაშე იდგა მართლაც რომ მოტიტინე „ტიტინა და მომქმედი პირი, გაცინებდათ თავისი გულბრყვილობითა.

დივერტისმენტში მონაწილეობდნენ: გიორგი ჯანდიერი, მ. ბერიაშვილი, თურდოსპირელი და ზემოთ დასახელებული მომღერალნი, გ. ჯანდიერმა წაიკითხა შინარსიანი და ლამაზი ლექსი, გ. ბერიაშვილმა—„რა მასმევს ღვინოს“.

წარმოდგენის დასასრულს გაიმართა ნადიმი. საზოგადოების სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ყარალაშვილები და ჩოლაყაშვილი ჩაარაკრაკებდნენ ხოლმე სახელოვანი მგოსნის სიმღერებსა.

ხალხი ჩვეულებრივზე ფრიად ნაკლები დაესწრო. მიზეზი ალბად ის იყო, რომ მეორე დღეს სოფ. ველისციხეში იყო დანიშნული წარმოდგენა. **დამსწრე**

**ს. გურჯაანი** (კახეთი). უავდრობით ვენახები ლამის სულ გადახმეს. თიბათვეა ნახევრიდან წვიმა არ მოსულა და გაჭირვება დიდია.

ხალხი „ლაზარეზე“ დადის, მაგრამ ლაზარეზე ვერას შველის.

სოფლის მოსამართლეობა ადვილი საქმე არ არის. დიდი მოვალეობა აწევს სოფლის მოსამართლეს. ის მაღლა უნდა იდგეს მიუდგომლობით და სოფლის წვრილ საქმეებს უნდა ასცილდეს. სულ სხვასა ვხედავთ გურჯაანში: მოსამართლე ერთსა და იმავე დროს ხარჯსაც ჰკრეფს, აწერს კიდეც ამ ხარჯს. საჭიროა ხარჯის კრეფა სხვა კაცს ჩაბარდეს, გაწერა სულ სხვას და მოსამართლეც მარტო მოსამართლეობდეს, თორემ ეს არევ-დარევა და ხალხის უკმაყოფილება არ მოისპობა,

ხმები დადის, რომ გურჯაანის ბოლო იყიდებაო. საჭიროა უმამულობით შეწუხებულ სოფელს მეჲაური გამოუჩნდეს და ძვირფასი მამული ხელიდან არ გაუშვან. ხალხი ძალიან მოწადინებულია მამული შეიძინოს საერთოდ და ფულსაც არ დაზოგავს.

საადგილ-მამულო კომისიის ერთი წევრი ეხლა გურჯაანში იმყოფება და თუ ხალხი შველისთვის მას მიჰმართავს,-კარგი იქნება.

ხოლერის მოლოდინში სოფელი ძალიან უსუფთაოდ არის. მთელი ბაზარი ნაგვით არის სავსე, მტვრისგან ხომ გასავალი არ არის.

ამ ბოლო დროს ქურდობა ხელახლად გაჩაღდა: კვირა არ გავა, რამე არ დაიკარგოს.

საკვირველი ის არის, რომ ქურდი ერთხელაც არ ამოუჩენიათ.

6—მარიამობისთვეს ეკლესიის ეზოში პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ გურჯაანელებმა. პანაშვიდის შემდეგ ექიმმა დიმიტრი ჯავახიშვილმა გულ-თბილ სიტყვით მარტივად აუხსნა გლეხობას სასიქადულო ადამიანის მნიშვნელობა ჩვენი ერისთვის. ხალხი საკმაოდ დაესწრო **ვანო.**

## საარჩევნო საქმე

მომავალი არჩევნები სახელმწიფო საბჭოში დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს პროფესორების წრეში დ სამეცნიერო აკადემიაში. პეტერბურგის უნივერს. პროფესორი დ. დ. გრიმი გავიდა საბჭოდან. განათლების მინისტრისაგან მიღებული ზომები დიდ შევიწროებულ პირობებში აყენებს უნივერსიტეტებს და ადვილად შეძლება ცნობილ მემარცხენე პროფესორთა მაგიერ გავიდნენ ოქტომბრისტები, ან კიდევ უფრო მემარჯვენე პროფესორები. თავად ე. ვ. ტრუბეცკის ადგილზე მოსკოვის უნივერსიტეტში მომხდარ მოძრაობის შემდეგ აირჩიეს საბჭოში პროფესორი აფანასიევი (ოქტომბრისტი).

საბჭოში მორიგ არჩევნებზე, რომელზედაც არჩეულ იქმნენ პრ. მ. მ. კოვალევსკი და ცნობილი ფინანსისტი პროფ. ი. ხ. ოზეროვი, უკანასკნელი ძლივს მოხვდა წევრად, რადგანაც ზოგიერთ მემარჯვენე პროფესორს იმდენივე ხმა მისცეს რამდენიც ოზეროვს. პროფ. ა. ა. მანუილოვის და ვ. ი. ვერნადსკის საბჭოდან გასვლის შემდეგ, როგორც კანდიდატებმა, მათი ადგილი ბაგალეიმ და ზაგოსკინმა დაიჭირა.

ამ ჟამად, (დ. დ. გრიმის გასვლის შემდეგ) არც, პეტერბურგის და არც მოსკოვის უნივერსიტეტებს საბჭოში წარმომადგენელი არა ჰყავს ახლა მოსკოვიდან საიმედო კანდიდატათ პროფ. გრაფი კაბაროვსკი ითვლება. მას არა ერთხელ უყრია კენჭი, მაგრამ ვერ გასულა, რადგან ოქტომბრისტების პარტიას ეკუთვნის. დ. დ. გრიმს ისევ ცოტა შანსი აქვს. ასე რომ იმის ადგილს ვინმე მემარჯვენე პროფესორი დაიჭერს. უეჭველად სახელმწიფო საბჭო გამდიდრდება ორი ისეთი დეპუტატით, რომელნიც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს მეცნიერებისათვის, მაგრამ ცნობილი იქნებიან სხვა „რომელიმე დარგში“ სხვა და სხვა „საქმეებით“.

## მცირე შენიშვნა

„სახალხო გაზ.“-ის 662 ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია სოფ. მეჯვრისხევიდან, სადაც სხვათა შორის არის ნათქვამი: „აქაური სასოფლო სკოლა ოთხ განყოფილებიანია. ქართულ ენას მხოლოდ სამს განყოფილებაში ასწავლიან, მეოთხეში კი არა“. მეტი არაფერი. ბ. კორესპონდენტს რაღაცა მოსაზრებით დაუმალავს მეოთხეში უქართულების, მიზეზი... მიზეზი კი ის არის, რომ უფროს მასწავლებლად უცხო ეროვნების კაცია, რომელმაც ქართული არ იცის. ქართულის მცოდნე მასწავლებელს კი არ უნდა სხვის კლასში ასწავლოს ქართული. ამ საქმის მოსაგვარებლად საჭიროა, რომ უფროსი მასწავლებელი გადაიწყვანონ აქედან და მის ადგილას დანიშნონ ქართულის მცოდნე. როგორც გავიგე, სახალხო სკოლების ინსპექტორისათვის უთხოვნიათ ასეთი კომბინაცია, მაგრამ ბ. ინსპექტორი სემიონოვი აქამომდის ყურადღებას არ აქცევს ამ სამართლიან თხოვნას, რაც შემდეგში მოთხოვნათ შეიძლება გადაიქცეს.

**სტუმარი-მასწავლებელი.**

## სხვა და სხვა ამბავი

**გიმნაზია ტყეში.**

ნოვგოროდის ტყეებში გ. ო. შუბოვას მამულში, ქალთა გიმნაზია ყოფილა. გიმნაზია, თვით მამულის პატრონს დაუარსებია და მისი სიკვდილის შემდეგ ერობის ხელში გადასულა. ამ გიმნაზიაში ძალიან თავისებური რეჟიმი ყოფილა. იგი წარმოადგენს ერთს დიდს ოჯახს, სადაც შეგირდები ყველაფრისთვის თითონა ზრუნავენ: თითონ რეცხავენ, მუშაობენ ბოსტანში, ამზადებენ სადილს. როგორც ამბობენ, მოსწავლენი საგნებსაც კარგად ითვისებენ. ამ ჟამად გიმნაზია საკმაოდ უზრუნველყოფილია. ჰქონია პატარა საკუთარი სახლი. მიწა 60 დესეტინამდე და ფულად 136 ათასი მანეთი, რომლის სარგებლითაც გიმნაზია არსებობს.

## ბურცევი და აზეფი

(დასასრული)

წაველი აზეფის სანახავად. ყავახანაში აუარებელი ხალხი ირეოდა. ამაოდ ვეძებდი იმ ადამიანს, ვინც ჩემ მტრად შემეძლო ჩამეთვალა, დაუძინებელ მტრად, რადგან მისნი საქმენი მე გამოვამჟღავნე.

აგერ, ყავახანის ერთ კუთხეში წამოდგა მაღალი, მოსული ადამიანი და ჩამაცქერდა.

ვიცანი აზეფი, თუმცა ყველაფერი შეეცვალა.

როდესაც მიუახლოვდი, ორთავე ხელით მაგიდას დაყრდნობოდა, თავი ჩაეღუნა, თითქოს ჰსურს მიწაში ჩაძვრესო. ბეჭებს რაღაც საშინელი სიმძიმე აწვებოდა...

ერთს წუთს უხერხულად ვსდუმდით. რაღა თქმა უნდა, ცუდ რასმე ვგრძნობდი არა მარტო მაშინ, შემდეგაც კი. დავიწყეთ ლაპარაკი.

— ჩემი წამოსვლის ამბავი არავინ იცის. მარტო ჩამოვედი—გავიმეორე უკვე მინაწერი აზეფთან.

— მეც მარტო ვარ, მიპასუხა აზეფმა.

თვალი თვალს მოხვდა: თავს მარიდებდა. ასე მხოლოდ გალიზიანებული ნადირი თუ იცქირება.

— აბა, მოვილაპარაკოთ, აქ ყურს ვერავინ დაგვიგდებს. ნურაფრისა გეშინიანთ. თუ გაიგონა ვინმე რამე, სულ ერთია, ვერაფერს მიხვდება.

— რაც უნდა მნდომებოდა, მაინც მარტო თუ მოვიდოდი აქა, სხვაფრივ არ შემეძლო. იმ ღამიდან, რაც პარიზიდან გამოვიქეცი, არავინ მინახავს: არც დამცველ პოლიციისა და არც ჩემი ნაამხანაგრები. ბევრჯერ წამიკითხავს გაზეთებში—აზეფი ისევ დამცველ პოლიციაში მსახურობსო. მტკნარი სიცრუეა. ჩემ დღეში აღარა ვყოფილვარ, პარიზს შემდეგ, რუსეთში. თქვენ პირველი ხართ, ვისაც ველაპარაკები ჩემი სახელით და არა გამოგონილით.

პირველად მე ავხადე აზეფს პირბადე—და პირველმავე დავინახე ნამდვილი სახე...

მაშინვე მითხრა აზეფმა, რა იმედი ჰქონდა ჩვენის შეხვედრისა.

— აქამდე რაც დაუწერიათ ჩემ შესახებ, ჩემს მოღვაწეობას ყალბად ანათებს. სიკვდილს ვერ ვირჩევ, ვიდრე ჭეშმარიტება არ გამომირკვევია. ჭეშმარიტების გამორკვევა ჩემი მოვალეობაა—შვილების წინაშე. შვილებრა უნდა იცოდნენ—ვინ ყოფილა მათი მამა...

აზეფმა რომ წარმოსთქვა —„შვილებსაო“, სახე გაუბრწყინდა, ხმა გაულბილდა, დადნდა...

მთელ საუბარის დროს, როდესაც ლაპარაკი მის შვილებზე ჩამოვარდებოდა, ვატყობდი აზეფს—რომ ქვითინსა და ტირილს, ბოღმას გულშივე აღჩობდა...

მაშინ მივხვდი, რომ ამ საშინელ ადამიანს სხვა ფიქრი არა დარჩენოდა რა, გარდა შვილებისა და ვერც ვერავის ამჩნევდა ქვეყანაზე, მათ გარდა.

— მე მსურს, განაგრძობდა აზეფი, ჩემმა ამხანაგებმა,—უკაცრავად, ნაამხანაგრებმა, გამასამართლონ. სასამართლოში ნათქვამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოვადგენ. აზეფი თავის დღეში არა ყოფილა „დამცველად“ და ყოველთვის სძულდა მისნი მსახურნი. ყველაფერი, რაც ჩამიდენია, რევოლუციის გულისათვის ჩავიდინე. ძალიან შევცდი, პარიზიდან რო გამოვიქეცი. ამხანაგებისათვის რომ მეთქვა საქმის ვითარება, ყველაფერი გამოირკვეოდა. მაგრამ ვერ შევძელი. ძალიან მრცხვენოდა, სინდისი მქენჯნიდა.. ვგრძნობდი—ხელები სისხლში მქონდა მოსვრილი.

— მაგით რა გნებავთ სთქვათ? შევეკითხე აზეფსა.

— აი რა. [illegible] წელს [illegible] გენერალ გერასიმოვთან უცაბედად და სრულიად უნებურად—რასპუტინის ქალის სახელი ვახსენე. რასპუტინის ქალს დიდი ხანი თვალ-ყურს ადევნებდნენ, დაიჭირეს და ჩამოახრჩეს...

განა აზეფს დაავიწყდა, რასპუტინის ქალთან ერთად ხუთი რევოლუციონერი რომ აიყვანეს სახრჩობელაზე? ამათ გამო სულ არაფერი უთქვამს და მხოლოდ რასპუტინის ქალს სწუხდა—რადგან იგი ორი შვილის დედა იყო.

აზეფი განაგრძობდა ლაპარაკს, ანუ აღსარებას. გულის ფანცქალით უგდებდი ყურსა. აზეფმა მთლად თავისი ცხოვრება მიამბო. მითხრა, თუ როგორ მოხდა, რომ ახალგაზდობისას, სტუდენტობის დროს, ხუთი თუმნისათვის დამცველ პოლიციაში შევიდა.

მიამბობდა—ერთთა გადასარჩენად სხვები უნდა გამეცაო. იძულებული ვიყავი განგებ ჩამეშალა ზოგი საქმეები უმეტესად (არა ჩემ პარტიის მიერ განზრახული) და გადამერჩინა ისინი, რასაც პირადად ვხელმძღვანელობდი. მაგალითად პლევეს, დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძისა, ადმირალ დუბასოვის მოკვლის საქმენიო.

— პოლიცია ბრმად იყო ჩემზე მონდობილი. მეც ამას ვსარგებლობდი. უმეტეს წილად იმისთანა რასმე ვატყობინებდი, რასაც ვერავინ დაჰმალავდა და ბოლოს აღმოჩნდებოდა.

ჩვენმა, ლაპარაკმა ოთხ საათს გასტანა. მეტი აღარ შემეძლო. განვშორდით ერთმანეთსა. შემდეგ შევხვდით მეორედ და მესამედ—მეორე დღეს აზეფმა თავ-გადასავალი მიამბო. რასაკვირველია, ავისი თვალთსაზრისით მიამბობდა, მაგრამ დამპირდა—საჭირო თუ იქნება, ყოველ სიტყვას დავასაბუთებო.

პირველად აზეფმა მიჩვენა რუსეთის საპოლიტიკო პოლიციის ნაუფროსალის რატაევის, გენერლის გერასიმოვის და სხვათა წერილი, რითაც მიმტკიცებდა—გამომჟღავნების შემდეგ დამცველ პოლიციაში აღარ მიმსახურიაო.

— ძალიანა მსურს გასამართლება. მოვითხოვ ამას ჩემი შვილების გულისათვის. წინდა-წინვე მორჩილებას ვაცხადებ სასამართლოს გადაწყვეტილებისას და თუ სიკვდილი გადამიწყვიტეს—თითონ მოვიკლავ თავსა.

როდესაც ვშორდებოდით ერთმანეთსა—აზეფი გამომიტყდა: თუმცა შიში დიდი არაფრისა მქონია, მაინც ანდერძი დავწერე და ისე წამოველ შენთანაო.

აზეფმა ანდერძიც მიჩვენა.

პირველად ნახსენები იყო, თუ რა პირობით უნდა შევხვედრილიყავით მე და ისა. შემდეგი ნაწილი ანდერძისა—ბავშვებსა და ქონებას შეეხებოდა.

ანდერძმა მომაგონა და ვკითხე აზეფს, რამდენს იღებდი მეთქი დამცველ პოლიციისაგან სამსახურის დროსა.

ხუთი თუმნით დავიწყე, შემდეგ ათი თუმანი მქონდა, ორმოცდა ათი, ასი თუმანიც ხშირად მქონია თვეშიო.

და ამას რომ მელაპარაკებოდა, თავი მაღლა არ აუღია, სიტყვებს ძლივ-ძლიობით ამბობდა, ენა ებმოდა გამცემლობისათვის მიღებულ ფულის რაოდენობას რომ ჩამოსთვლიდა, ყელში სისხლი ებჯინებოდა. დიდი, ძალიან დიდი ძალი დასჭირდა აზეფს, თავისი აღელვება დაემალა და ყელში მობჯენილი ცრემლები შეეკავებინა... (ვ. ბურცევი).

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

14 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ**

**ოსმალნი და სერბნი.**

**სენიცა.** კოსოვოს ვილაიეთში ერთი ქრისტიანი მაზრის უფროსი იყო —ილია პოპოვიჩი და ისიც ეხლა მაჰმადიანებს მოუკლავთ. ბელოპოლში მთავრობამ მაჰმადიანებს იარაღი დაურიგა. სერბიელთა მდგომარეობა მას შემდეგ გაუარესდა. სოფლელები ქალაქს გაიქცნენ.

**ბელგრადი.** სენიცას, ბელოპოლსა და ახალ ბაზარში მომხდარმა ამბავმა და სერბიელთა აწიოკებამ ძალიან დაალონა აქაურებ. გაზეთები მთავრობას გაბედულად მოქმედები-

სათვის მოუწოდებენ და მოქალაქეებს საპროტესტო კრებებისათვის იწვევენ.

სტუდენტებმა და ხალხმა მამულიშვილური დემონსტრაცია გამართეს და მთავრობისაგან მოითხოვენ სასტიკ ღონისძიებათა მიღებას თანამემამულეთა დასაცავად. გარეშე საქმეთა სამინისტროს სადგომის წინ ხალხი ყაყანებდა, მთავრობას სისუსტეს აყვედრიდა და მოითხოვდა ახალ კაბინეთის შედგენას. აფიცერთა საკრებულოსთან, სერბიის აფიცრებთან ერთად ხალხი ყვიროდა: გაუმარჯოს სერბიის ჯარსა! ძირს ოსმალეთი და არნაუტელები! დემონსტრაციებმა მშვიდობიანად ჩაიარა.

ხუთშაბათს ხალხის დიდი ყრილობა უნდა მოხდეს.

ნამდვილი წყაროებით იუწყებიან, მთავრობამ პორტას მოსთხოვა, მოსპეთ ძველ სერბიაში სერბიელთა ხოცვა-ჟლეტაო.

**ბულგარეთი.**

**სოფია.** ამას წინად დაარსებულმა „განთავისუფლების ომის“ კომიტეტმა ყრილობა მოიწვია პროვინციელ ამხანაგებისა, სულ 400 კაცამდე. ყრილობაზე აღუნიშნავთ ბულგართა გაჭირვებული მდგომარეობა და გადაუწყვეტიათ მთავრობას მოსთხოვონ—მოაგროვოს ჯარი და სახელმწიფოს მოსთხოვოს მინიჭება მაკედონიისათვის ავტონომიისაა, ხალხის მილიციის შემოღებისა და ქრისტიან გუბერნატორის დანიშვნა ყველაფრის უფროსადა. თუ ამ მოკლე ხანში მთავრობა ამ მოთხოვნილებას, არ დააკმაყოფილებს, ომი აუცილებელი იქნება. ყრილობის შემდეგ ხალხმა მეფის ალექსანდრე მე-II ძეგლს მიაშურა და გვირგვინი დაადვა ზედ წარწერით: „მეფევ განმათავისუფლებელო! ბულგარეთის ერი მისდევს შენ მიერ დაწყებულ წმინდა საქმეს!“

**გაზეთების აზრი ბალკანეთის თაობაზე**

**ბუდაპეშტი.** საოპოზიციო გაზეთები ბალკანეთის საქმეთა გამო ბევრს ლაპარაკობენ. გაზეთები აღნიშნავენ—ბერტჰოლდის წინადადება ოსმალეთის საქმეებში ჩარევაა და რუსეთის წინაამდეგ არის მიმართულიო. ეტყობა, ავსტრია-ჰუნგრეთს არა ჰსურს გულ-გრილად უცქიროს, თუ რანაირად ამზადებს რუსეთი ბალკანეთში აჯანყებასაო.

„ვილაგი“ ამბობს, საფრანგეთის გაზეთების აზრით, ვითომ გრაფ ბერტჰოლდის ბალკანეთში ომის გაჩაღება სწადდესო, მართალი უნდა იყოსო.

„პოლგარი“ ამტკიცებს, ჩერნოგორიას რუსეთი და იტალია აქეზებენ, მღვრიე წყალში თევზის ჭერა ჰსურთო.

„პესტი-ნაპლო“ სწერს: გრაფმა ბერტჰოლდმა საქმე გაამწვავა. შეიძლება ამ ახლო ხანში დიპლომატიის ენა იარაღმა შესცვალოს. ევროპიელთა ომი იქნება თუ არა, იმაზეა დამოკიდებული, რუსეთი როგორ შეჰხედავს ბალკანეთში ავსტრია-ჰუნგრეთის დამკვიდრებასაო.

„ნეშპარვა“ სწერს, ალბანელთა აჯანყება ავსტრია-ჰუნგრეთმა მოაწყო, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ალბანელ-კათოლიკეებზეო.

**ბუდაპეშტი.** „ალკომანი“ გრაფ ბერტჰოლდის რუმინიას წასვლის გამო აძბობს: რუმინია ათის წლის განმავლობაში რუსეთის საბალკანეთო პოლიტიკის მიმშველი იყოო. ეხლა რუმინიამ საბოლოოდ დაანება თავი რუსეთის მოყვრობასაო.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრად სირბი-ბეი დანიშნეს; აბდულ-ჰამიდის დროებაში იგი ფინანსთა მინისტრად იყო.

**კონსულის პროტესტი.**

**ურმია.** რუსეთის კონსულმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვა ოსმალეთის ასკერებისა და კავასების დასჯა, რომელთაც ქუჩაში რუსეთის საკონსულოს მსახურისათვის უცემიათ.

ოსმალეთის საკონსულოს ამალას 70 ასკერი კიდევ მიუმატეს.

**სპარსელ რევოლუციონერთა დაბრუნება.**

**ურმია.** ოსმალეთის პასპორტები უშოვნიათ და ისე ჩამოვიდნენ სპარსეთის რევოლუციონერები, რომელთაც წინად ჰსურდათ რუსების საწინაამდეგო აჯანყება მოეწყოთ, ვერაფერს გახდნენ, ოსმალეთს გაიქცნენ და აქამდე იქ იყვნენ.

**რ უ ს ე თ ი**

**არჩევნები**

**ნოვეორედი.** სამღვდელოების კრებამ საარჩევნო კომიტეტის წევრები ამოირჩია.

**ოდესა.** სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლად მრეწველ-ვაჭრებისაგან აირჩიეს. საბირჟო კომიტეტმა—კოტლიარევსკი და თიმროტი; ვაჭრობისა და მანუფაქტურისამ—ვეინშტეინი; ვაჭართა სამმართველომ — ბულატოვიჩი. სახელმწიფო საბჭოს წევრად ამორჩევას თიმროტს უპირებენ.

**პეტროზავეტსკი.** სახელმწიფო საბჭოს წევრად ოლონეცის ერობამ ხელახლად საველიევი აირჩია.

**პროსკუროვი.** (პოდოლის გუბ.) ჟანდარმებმა დააპატიმრეს ავსტრიის ქვეშევრდომი იოსებ ლევიტი, რომელსაც აბრალებენ ავსტრიის სასარგებლოდ ჯაშუშობას. გამოირკვა, რომ ლევიტის დაპატიმრების დროს, პოლიციას ხელში ჩავარდნია ბარათი, რომელშიც სთხოვდნენ მას ავსტრიის მთავრობისათვის მიეწოდებინა ცნობები ადგილობრივ ჯარისა და სურსათის რაოდენობაზე.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**(საზაფხულო).**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: სააგარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ‥ ს. 40 წ.

**მცხეთიდან: სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## გემების მიმოსვლა

### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პ ი რ დ ა პ ი რ ი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვორასიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტ ფ ი ლ ი ს შ ი ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობპით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სმშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

* ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |

# განცხადებანი

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მი‥ირტუმოვი.** (თ. 1037.49)

## ფეხსაცმელები თომა დ. ჯანჯარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში**

მუხრანის ქ., № 2.

ყოველ ნაირი ფეხ აც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.



(25.549.13)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისადა ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1078.117)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(0—1253—94)

## დაბა სამტრედია

**ა ხ ა ლ ი ა გ უ რ ხ ა ნ ა.**

ვამზადებთ დიდ ზომის აგურებს 6Х3Х1½ **ვერშოკ. ზომიანს.**

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ კარგი ღირსებისა ზომიერ ფასებში. ყოველივე დაკვეთა სისწრაფით სრულდება.

პატივისცემით **პორფირე ჭეიშვილი.**

(თ. 1338 24)

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცის**

## საბუჰალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—5)

## გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„ მ ა მ ც ე მ ი “**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა** კისრულობს ყოველგვარ

## კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.19)

## საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

**თევზის მრეწველნი**

## ძმ. ძმველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

**ყურადღება!**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო

## ხ ი ზ ი ლ ა ლ ა,

გირვანქა 1 მ. 60 კ.

(წ.1131.231)

## გამოსულია და იყიდება

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

| | | |
|---|---|---|
| I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი „ „ „ | 75 კ. |
| II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა | „ „ „ „ „ | 80 კ. |
| III „ „ნააზრევი“ | „ „ „ „ „ „ „ | 65 კ. |
| IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მემოვრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ბაღი „ედემი“ ვერაზე**

მომჩქეფარე, მოჩქრიალე ჩანჩქრებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჰერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბაროზით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყველანაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი“ თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. **ტელეფ. № 296.**

სრულის პატივისცემით **კ. ბაქრაძე.**

(25.1344.24)

## თ. მთავრიშვილისა

და **ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში**

ამ წლის აგვისტოს

**15-დან გადადის**

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1416.5)

## საკანცელარიო მაღაზია

## დ. და კ. ოცხელებისა,

**ქ უ თ ა ი ს შ ი,**

ამა წლის აგვისტოს

**15-დან გადადის**

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1415.5)

**დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად**

## თ. მთავრიშვილისა

**და ა მ ხ წიგნის მაღაზიის**

## ახალი გამოცემები:

1. სამშობლოს აღწერა, სკოლებისათვის შედგენილი ს. რობაქიძის მიერ, ფასი ყდით 10 შაური.
2. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგ. ს. ხუნდაძის მიერ, ფასი 1 აბაზი.
3. ქართული ლოცვანი, შედგ. მღვ. ა. გერსამიას მიერ, ფასი 2 შაური.

(8.1417.5)

## თ. მთავრიშვილისა

**და ამხ. წიგნის მაღაზია**

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

აცხადებს, რომ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის-მომწერთ **კიტა აბაშიძის**

## „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“,

**ტომი მეორე.** აგენტებს სთხოვენ, ხელის მომწერთ სია და მათგან მიღებული ფული საჩქაროდ გამოუგზავნონ წიგნის მაღაზიას. (8.1418.5)

## ე. ა. ცატუროვის საწყობში

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

**ი ყ ი დ ე ბ ა**

## ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები

## „ი გ ა“,



გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში 200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 1100 და 1800 სანთლის სინათლიანი „ი გ ა“-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოა მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება:

| | | |
|---|---|---|
| 200 | სანთლის სინათლიანს | 25 მისხალი. |
| 1100 | „ „ | 32 „ |
| 1800 | „ „ | 80 „ |

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფარნის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება. ნრულის თავდებობით**, რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

**ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.**

**ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში**

**საწყობი ე. ა. ც ა ტ უ რ ო ვ ი ს ა, ტფილისში.**

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა;** შეკვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ. 12.396.12

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.